ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 84

ქ. თბილისი 27 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „ნუცა"** (შემდგომში "მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობისათვის ფარდების /39515100-CPV/ შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 381,15 (სამას ოთხმოცდარვა ლარი და 15 თეთრი) ლარს, დღგ-ს გარეშე.
2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, მის გადაცემასთან დაკავშირებულ ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. დაფინანსების წყარო – 2016 წლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:
3.1. 2016 წლის 03 აგვისტომდე უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 21 გ/მეტრი ფარდის ქსოვილის გადაცემა.
3.2. იმ შემთხვევაში თუ საქონლის გადაცემის ვადა ემთხვევა დასვენების დღეებს, მაშინ საქონლის გადაცემის ვადა იქნება მომდევნო სამუშაო დღე.
3.3. გადაცემული საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 5 კალენდარული დღის ვადაში.

"შემსყიდველი" ვალდებულია:
3.4. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხარისხიანი საქონლის დროულად გადაცემის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის შემდეგ, შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. თუ მიმწოდებელი გადააცილებს 3.1. პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის გადაცემის ვადას, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.
5.2.საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
5.3.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს სახელშეკრულებო ღირებულების 0,2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.
5.4.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან მათი არასათანადოდ შესრულებისას შემსყიდველი იხდის ჯარიმას გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.5.ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულებების შესაბამისი ღირებულებების არაუმეტეს 10%-ის ოდენობით, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.
5.6.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებების საერთო ღირებულებების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის გადაცემის დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
7.4. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
8.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და დაერთვება ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.5. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის აუცილებლობისას ინიციატორი მხარე ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) დღით ადრე მიმართოს მეორე მხარეს აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის დასაბუთებული წერილობითი თხოვნით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ცვლილების განხორციელებაზე.
8.6 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.7. მხარე ვალდებულია არანაკლებ 2 (ორი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.6. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.
8.8. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ინსპექტირების პირობები

9.1 ხელშეკრულებას ინსპექტირებას უწევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.
9.2 გადაცემული საქონლის ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი პირი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება "მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

10. დავის გადაწყვეტა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით.
10.2. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 27 ივლისიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34,
ს/კოდი: 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

შპს „ნუცა"
მის: ძველი თბილისი, მირზა შაფის ქ.N8
ს/კოდი: 404469785
ა/ა GE59BG0000000806100400
ს/ს "საქართველოს ბანკი"
ბ/კოდი BAGAGE22

13. მხარეთა ხელმოწერები

ბესიკ წიკლაური
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბადრი ცხადიაშვილი
შპს „ნუცა"-ს დირექტორი

ეკატერინე აფციაური
საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების
სამსახურის უფროსი